

დამტკიცებულია: 15. 2021

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბავშვის უფლებათა ცოდნის ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ბავშვის უფლებათა ცოდნის ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) შექმნილია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2021 წლის 16 აგვისტოს გაფორმებული საპროექტო წინადადების „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ბავშვთა უფლებების ცენტრის ცოდნის ცენტრად დაფუძნება ინკლუზიური და ბავშვთა უფლებებზე ორიენტირებული ცოდნის, დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის დასაწარმოებლად“ საფუძველზე.

2. ცენტრი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმით, სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ფუნქციები

1. ცენტრის მიზნებია:

ა) ბავშვის უფლებების ცოდნის ქსელის შექმნა;

ბ) ბავშვის უფლებებისა და ინკლუზიური განათლების შესახებ ცოდნის შექმნა, გაზიარება და ცნობიერების ამაღლება, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭებაზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვის ხელშეწყობა;

გ) ბავშვების, მშობლების, ბავშვებთან და ბავშვებისთვის მომუშავე და მომავალი სპეციალისტების, უფლებადამცველებისა და სხვა პირების გადამზადება;

დ) ბავშვის უფლებების საკითხების საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებში და კურსკულუმებში ჩართვის ხელშეწყობა.

ე) თანამშრომლობა სახელმწიფო უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

2. ცენტრის ფუნქციებია :

ა) ბავშვის უფლებებისა და ინკლუზიური განათლების შესახებ სწავლების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

ბ) ბავშვის უფლებებისა და ინკლუზიური განათლების შესახებ სასწავლო ხასიათის პროექტების, სასწავლო მასალების, გზამკვლევების, შემუშავება. დისკუსიების, თემატური სემინარების, სამუშაო შეხვედრების და სხვა პროექტების განხორციელება;

გ) ბავშვის უფლებებისა და ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენერთა, კონსულტანტთა და სხვათა მომზადებისა და გადამზადების პროცესების ორგანიზება და გადამზადებულ პირთა სერტიფიცირება.

დ) ბავშვის უფლებებისა და ინკლუზიური განათლების მიმართულებით სატრენინგო პროგრამების შეფასება და განვითარება.

ე) ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე შესაბამის საგანმანათლებლო ან/და სასწავლო დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება;

ვ) ცენტრის საქმიანობის გაცნობის უზრუნველყოფა, ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება;

ზ) ცენტრის საქმიანობის ანგარიშების მომზადება;

თ) ცენტრის მიზნებიდან გამდინარე ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

3. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრი მოქმედებს საკუთარი სახელით.

4. ცენტრის სრული სახელწოდებაა: „სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბავშვის უფლებათა ცოდნის ცენტრი“.

5. ცენტრს აქვს ვებგვერდი და ლოგო.

მუხლი 3. ცენტრის მართვა

1. ცენტრის შემადგენლობა განსაზღვრულია რექტორის ადმინისტრაციული აქტით:

ა) ცენტრის მენეჯერი/კოორდინატორი.

ბ) ფინანსური მენეჯერი.

გ) შესყიდვების მენეჯერი.


2. ცენტრის კოორდინატორი უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებითა და წინამდებარე დებულების შესაბამისად:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში ;

გ) ზედამხედველობს ცენტრის ფუნქციების შესრულების მიმდინარეობას;

დ) წარადგენს ცენტრის საქმიანობის შესახებ ანგარიშებს.



ე) თანამშრომლობს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან ამ დებულებითა და პროექტით გათვალისწინებული/განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესარულებიას.

ვ) ასრულებს ამ დებულებითა და მემორანდუმით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. ცენტრის კოორდინატორი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

4. ცენტრის საქმიანობის შესახებ ანგარიში წარედგინება უნივერსიტეტის რექტორსა და შესაბამის დონორს (მიზნობრივი გრანტის ფარგლებში).

5. შესყიდვები მენეჯერი:

1. უზრუნველყოფს დროულ შესყიდვებს, პროექტის მენეჯერის მოთხოვნის საფუძველზე;
 2. მუშაობს ფინანსურ ოფიცერთან მჭიდრო თანამშრომლობით;
 3. უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სიზუსტეს
 4. თანამშრომლობს გარე და შიდა აუდიტთან.
- 6. ფინანსური მენეჯერი:**
1. უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშების მომზადებას;
 2. უზრუნველყოფს დროულ ფინანსურ ოპერაციებს მათ შორის ხელფასების ჩარიცხვას და შესყიდვებს;
 3. უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სიზუსტეს.
 4. თანამშრომლობს გარე და შიდა აუდიტთან.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

1. ბავშვი - 18 წლამდე ასაკის პირი (არასრულწლოვანი); (ბავშვთა უფლებების კონვენციის 1-ლი მუხლი)
2. მოსწავლე - პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ირიცხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;
3. მოზარდი - 10-18 წლის მიღწევამდე; (ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი)
4. სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვი – ბავშვი, რომელზედაც გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, რომლებიც აფერხებს მის შესაძლებლობას, სათანადო მხარდაჭერის გარეშე გაიაზროს სხვადასხვა გამოწვევა, წინააღმდეგობა გაუწიოს და გაუმკლავდეს მათ და აღიდგინოს რესურსები, მათ შორის, ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან/და აზარტულ თამაშობაზე დამოკიდებულება, ბავშვობისას მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენა, კანონთან კონფლიქტში ყოფნა, ძალადობა და მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები. (ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტი)
5. მშობელი-ბავშვის დედა ან/და მამა, მეურვე;
6. ბავშვის საუკეთესო ინტერესები – ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი და სხვა



ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ბავშვის უფლებათა კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით;

7. ინკლუზიური განათლება - თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების მიღება მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით;

8. განათლების ინკლუზიური სისტემა – განათლების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ყველა პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომობას და მასში მონაწილეობას, მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ან/და უნივერსალური დიზაინის გამოყენებით.

9. ბავშვებისთვის მომუშავე პირი - ნებისმიერი პირი, რომელიც თავისი საქმიანობით დაკავშირებულია და/ან მომავალში იქნება დაკავშირებული ბავშვის განვითარებასთან და კეთილდროებასთან

მუხლი 5. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. გარდამავალი დებულება

ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

